

საქართველოს კანონი

„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №16, 26.06.96, გვ. 12) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე განთავსებულ წიაღით სარგებლობის ობიექტებს წიაღით სარგებლობის სახეობათა მიხედვით უწესდებათ მიწის მინაკუთენი, რომელიც გამოიყოფა წიაღით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით. მიწის მინაკუთენი მოიცავს დასამუშავებელ საბადოს, მასთან დაკავშირებული წიაღისეულის საწყობებს, ფუჭი ქანის სანაყაროებს, აგრეთვე კუდებისა თუ სხვა ნარჩენების განთავსების ადგილებს და იგი განეკუთვნება სარეკულტივაციო მიწებს. კონკრეტული გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობების გათვალისწინებით მიწის მინაკუთენისა და მისი ზომების დაწესების საკითხს იხილავს სამინისტრო. დაწესებული მიწის მინაკუთენი შეიტანება წიაღის სახელმწიფო ფონდში და აღირიცხება (რეგისტრირდება), როგორც წიაღის ფონდის მიწები. მიწის მინაკუთენის წიაღის სახელმწიფო ფონდში შეტანა და მისი საჯარო რეესტრში აღრიცხვა (რეგისტრაცია) ხორციელდება სამინისტროს მიმართვისა და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე. წიაღის ფონდის მიწებზე შეიძლება წარმოებდეს ან დროებით არ წარმოებდეს წიაღით სარგებლობა. ამ კანონის 39-ე მუხლის თანახმად დასაშვებია ტექნოგენური საბადოთი დაფარული მიწის ფართობების განაშენიანება, ხოლო წიაღით სარგებლობის სხვა ობიექტებზე დასაშვებია დროებითი განაშენიანება... მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დროის მოცემულ მონაკვეთში იგი არ გამოიყენება წიაღით სარგებლობისათვის. ასეთ შემთხვევაში, როცა რომელიმე ობიექტზე ან ობიექტის ნაწილზე ჯერ არ დაწყებულა წიაღით სარგებლობა, სასოფლო-სამეურნეო მიზნით შესაძლებელია მიწის შესაბამისი ფართობით სარგებლობა ერთ წლამდე ვადით ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა სამინისტროსთან, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების... გარეშე. მიწის მინაკუთენის განკარგვა და გამოყენება ხორციელდება „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმებისა და წესების შესაბამისად.“

2. 39-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. აკრძალულია დასახლებული პუნქტების, სამრეწველო კომპლექსების, კომუნიკაციებისა და სახალხო მეურნეობების სხვა ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა, სანამ არ დადასტურდება, რომ მომავალი განაშენიანების ფართზე არ არსებობს სასარგებლო წიაღისეულის საბადო (ტექნოგენური საბადოს

გარდა) ან გამოვლინება. სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების განაშენიანება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულისათვის „ბუნებრივი რესურსებით - სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით. თუ განაშენიანება ხორციელდება ლიცენზიით გათვალისწინებულ ფართობზე აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია ლიცენზიის მფლობელის თანხმობა.

3. 39-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ნებადართულია დასახლებული პუნქტების, სამრეწველო კომპლექსების, სხვა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა მხოლოდ იმ ფართობზე, სადაც სასარგებლო წიაღისეულის საბადოები (გარდა ტექნოგენური საბადოსი) არ არსებობს, რაც დასტურდება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნით.“

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პროეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი